# გურულმა ჩხავერმა ტოკიოში ორმაგი ოქროს მედალი მიიღო




"აიპრესის" ინფორმაციით, ქართულმა ღვინოებმა ტოკიოში, საკურას საერთაშორისო კონკურსზე ორმაგი ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ორმაგი ოქრო კომპანია "ლუკასის" 2012 წლის გურულ ჩხავერს ერგო.

"კონკურსზე სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 2500-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი. ჩვენ მხოლოდ ჩხავერი გვქონდა წაღებული. ოქროს მედალი ჩვენთვის იყო მოულოდნელიც და ძალიან მნიშვნელოვანიც",— აღნიშნავს "აიპრესთან" საუბარში კომპანია "ლუკასის" დამფუძნებელი ქეთი გერსამია.

მისივე თქმით, კონკურსის შემდეგ, კომპანიას რესტორნებისა და მაღაზიების რამდენიმე ქსელი დაუკავშირდა გერმანიიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან, დაინტერესდნენ "ლუკასის" პროდუქციით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სამომავლო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

ღვინის კომპანია "ლუკასი" ბაზარზე სულ 2 წელია ოპერირებს. გურულ ჩხავერთან ერთად, იგი 7 სახეობის ღვინოს აწარმოებს, მათ შორის არის ისეთი ბრენდები, როგორიცაა საფერავი, ტვიში, წინანდალი და ქისი. კომპანიის პროდუქცია ავსტრიისა და ბელგიის რესტორნების ქსელში იყიდება. "ლუკასი" წელიწადში 10 000-მდე ბოთლს ღვინოს ამზადებს.

საკურას საერთაშორისო კონკურსი კი, საიდანაც "ლუკასმა" ორმაგი ოქრო წამოიღო, ფართო მასშტაბის ღონისძიებაა. მისი ჟიური დაკომპლექტებულია იაპონიაში ღვინის სფეროში მოღვაწე ქალბატონებით - სომელიეებით, ღვინის მწერლებითა და ჟურნალისტებით.

## აკადემიკოსი ვალერიან ცანავა 80 წლისაა



ბატონო ვალერიან, ერთი შეხედვით, 80 წელი თითქოს არც ისე ცოტაა, მაგრამ არც ისე ბევრია, თქვენს სამეცნიერო-შემოქმედებით მოღვაწეობას ავნოს. გილოცავთ იუბილეს, გისურვებთ უკეთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კიდევ დიდხანს გეცხოვრით და გეღვაწოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მიიღეთ საუკეთესო სურვილები.

პატივისცემით, **ამირან გირკელიძე**





# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №8 (10098), 23 თებერვალი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


## ქალაქის მერმა შპს „კომპანიონს“ შესრულებული სამუშაოები დაუწუნა



**ალიონი.** 20 თებერვალს ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგლარ სიორიძემ, მშენებლობის დარგის სპეციალისტებთან ერთად ქუჩების — დოლიძის დოლიძის № 9-სა და ჭავჭავაძის №14-ის კვეთაზე მდებარე ხუთსართულიანი კორპუსი მოინახულა, სადაც ტენდერში გამარჯვებული შპს კომპანიონი“ რამდენიმე დღეა გადახურვის სამუშაოებს აწარმოებს.

ძველი, ამორტიზებული სახურავი უამინდობის დროს მობინადრეებს დისკომფოტს და უსაფრთხოების თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემას უქმნიდა. მერიის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელი კორპუსი მთლიანად ახალი მასალით უნდა გადაიხუროს. დათვალიერების დროს მერმა ტენდერში გამარჯვებულ შპს „კომპანიონს“ შესრულებული სამუშაოები დაუწუნა და მკაცრი გაფრთხილება მისცა: „პირადად განვახორციელებ ზედამხედველობას და ყველა დეტალს ყურადღებას მივაქცევ, რათა სამუშაოები მაქსიმალურად ხარისხიანად შესრულდეს. ეს არ იქნება ერთადერთი შემთხვევა. ტენდერში გამარჯვებული ნებისმიერი კომპანიის საქმიანობას პირადად გავაკონტროლებ“ - აღნიშნა ქალაქის მერმა.

ბეგი სიორიძემ კორპუსის მცხოვრებლებს სთხოვა, თავადაც ჩაერთონ სამუშაო პროცესების ზედამხედველობაში.

## გაზეთ „ალიონს“ „ჰაერში აწევით“ ემუქრებიან

20 თებერვალს, დილით, დაახლოებით 11 საათისათვის გაზეთ „ალიონში“ ორი ახალგაზრდა მამაკაცი მოვიდა, რომლებიც რედაქციას „ჰაერში აწევით“ დაემუქრა.

მომხდურებს ხელთ ეჭირათ „ალიონის“ 16 ნოემბრის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია წერილი ოზურგეთის ერთ-ერთ სოფელში ორი გეი ერთად ცხოვრობს. დაჟინებით, აგრესიულად ითხოვდნენ, გვეთქვა, საიდან მოვიპოვეთ ეს ინფორმაცია და ვინ არის წერილის ავტორი. ვინაიდან თემის სპეციფიკურობის გამო, წერილში დაკონკრეტებული არ ყოფილა არც სოფელი და არც პიროვნებები, რამდენადმე უცნაურად გვეჩვენა მათი ეს კატეგორიული მოთხოვნა. კითხვაზე თუ რატომ მიიღეს ეს ყველაფერი საკუთარ თავზე, გვიპასუხეს: ჩვენ სოფელში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ეს გაზეთიც ვრცელდება და ახლა მთელი სოფელი დაგვცინისო. ჩვენი მხრიდან, მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილების გამო, ჯერ ადვოკატებით, შემდეგ კი „ჰაერში აწევით“ დაგვემუქრნენ:

„საიდან მოიპოვეთ ეს ინფორმაცია? ვინ არის ავტორი? რატომ დაბეჭდეთ გადაუმოწმებელი ინფორმაცია? რატომ სხვა გაზეთებმა არ გამოაქვეყნეს, რატომ ტელევიზიამ არ გადასცა?“ მეტი არაფერი გაქვთ საწერი?! გიჩვენებთ თქვენ როგორ უნდა წერა!!! — ხმას კიდევ უფრო აუწიეს და მუქარაზე გადავიდნენ. სიტუაცია იმდენად გამწვავდა, იძულებული შევიქენით, 112-ზე დაგვერეკა.

როცა მოისმინეს, რომ პოლიცია გამოვიძახეთ, დერეფანში გავიდნენ და შენობა ჩვენი სიტყვიერი შეურაცხყოფით, ალბათ, ორი სამი წუთით გაასწრეს ადგილზე ოპერატიულად გამოცხადებულ პოლიციას.

მთელი დღის განმავლობაში გაზეთში ფაქტობრივად ჩაიშალა სარედაქციო მუშაობა. პოლიციაში ჩვენება ჩამოართვეს გაზეთის რედაქტორსა და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელს.

საქმეს იძიებს შსს ოზურგეთის რაიონული განყოფილების კრიმინალური პოლიცია.

## დაწუნებული ანგარიშები და ჩავარდნილი საკითხები

**ალიონი.** 20 თებერვალს, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხიდან 13 უხმაუროდ, თითქმის კითხვების გარეშე წარიმართა. კომისიის ხელმძღვანელებმა შესაბამისი კომისიის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშები მცირე შენიშვნების ფონზე უმტკივნეულოდ ჩაიკითხეს. განსხვავებული მოსაზრებები მოჰყვა მეხუთე საკითხის განხილვას. ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყე-



ბის თაობაზე. — რეკლამები ძირითადად არჩევნების დროს უკავშირდება. რა დამცავი მექანიზმი იქნება ჩადებული, რომ მონოპოლიზება არ მოხდეს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის, ან თუნდაც ბიზნესმენმის მიერ, — პირველი კითხვა დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ დასვა. იქვე გაცხადდა, რომ გარე რეკლამების განთავსების გაცემა ძირითადად აუქციონის წესით მოხდება. საკითხის კენჭისყრაზე დაყენებისას, ხმათა უმრავლესობით დაიწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;


*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*


**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

**რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3**
**ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311**
**გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“**
**მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77**






დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# „ის მგლები, რომლებიც სოფლებში შედიან და მოსახლეობას ზიანს აყენებენ, ლიკვიდირებული უნდა იქნას“



**ალიონი:** „ის მგლები, რომლებიც სოფლებში შედიან და მოსახლეობას ზიანს აყენებენ, ლიკვიდირებული უნდა იქნას“

„ალიონის“ ეს განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ბიძინა გობრონიძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გასულ ხუთშაბათს გააკეთა და განმარტა, რომ საკრებულომ შესაბამისი წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უნდა მიმართოს.

მგლების თემა აქტუალურია მუნიციპალიტეტის როგორც მთის ზონის, ასევე ბარის ზონის სოფლებისათვის. გაზეთი „ალიონი“ კარგა ხანია წერს მგლებისგან შევიწროებული მოსახლეობის გასაჭირზე, რადგან მტაცებლებისგან მიყენებული ზარალი მნიშვნელოვანია.

ბოლო პერიოდში გაზეთი წერდა სოფლებში: მთისპირი, ასკანა, კონჭკათი და ა.შ. მგლების მიერ მოსახლეობაზე მიყენებული ზიანის შესახებ. მგლებმა ქ. ოზურგეთის განაპირა დასახლებაში –ანასეულშიც შეაღწიეს და მსხვილფეხა პირუტყს აქაც შეავლეს კლანჭი.

–გურიანთლები ძალიან შეაწუხა მგლებმა. მოგმართავთ თხოვნით, მოსახლეობას დავიცვათ მგლებისგან –განაცხადა გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბონდო ღლონტმა, რომლის გამოსვლას ბიძინა გობრონიძის მხარდამჭერი განცხადება მოჰყვა.

–თუ მუნიციპალიტეტი შესაბამისი წერილით მიმართავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სამინისტრო შესაბამის განკარგულებას გასცემს და გამოცდილი მონადირეები იმ მგლებს ამოიღებენ, რომლებიც მოსახლეობას ზიანს აყენებენ - თქვა გობრონიძემ.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა შესაბამისი წერილის გაგზავნაზე თანხმობა განაცხადეს.

# მკვლელობა ოზურგეთში

**ალიონი:** გასული ორშაბათი, 16 თებერვალი უმძიმესი აღმოჩნდა ოზურგეთისათვის, ქალაქში 23 წლის ახალგაზრდა მოკლეს. მოკლედ, ღამით, დაახლოებით 22 საათზე, „მოიდანახეს“ უბანში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე, ე. წ. „აბრეზით“ შეიარაღებული, გამოძიებისათვის ჯერჯერობით დაუდგენელი პირი თავს დაესხა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს – 23 წლის ირაკლი კვაჭანტირაძესა და 22 წლის ნათია თავართქილაძეს. რამდენიმე გასროლის შედეგად, ირაკლი კვაჭანტირაძე ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ნათია თავართქილაძე ფეხში დაიჭრა, იგი ოპერატიულად გადაიყვანეს ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაუწიეს, ფეხიდან რამდენიმე ცალი საფანტი ამოუღეს. ექიმების თქმით, ნათია თავართქილაძის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღძრულია საქმე სისისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით.

# „ჰორიზონტი“ ჰორიზონტის გაფართოებას გვპირდება

**ალიონი:** კოლეჯი „ჰორიზონტი“, რომელმაც უკვე გამოაცხადა საგაზაფხულო მიღება, ახალგაზრდებს პროფესიული ცოდნის გაფართოებას პირდება.

ამის შესახებ 17 თებერვალს აქ გამართულ ღია კარის დღეზე კოლეჯის დირექტორმა ნანა ჯოლიამ განაცხადა.

ღია კარის დღეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი თამარ კაკუტია ესწრებოდა.

ჯოლიას თქმით, მიღება იწარმოებს შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებზე: მზარეული, სტილისტი, მკერავი, ელექტრიკოსი, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ტრაქტორისტი, ბუღალტერი, გიდი. რეგისტრაცია 29 მარტამდე გაგრძელდება. სწავლება უფასოა.

პარალელურად მთავრდება წინა წლის საგანმანათლებლო პროგრამა. ამასთან დაკავშირებით, კოლეჯში წინა დღით მოწვეული იყვნენ იმ საწარმოთა წარმომადგენლები, სადაც კურსდამთავრებულებმა გაიარეს ერთვიანი პრაქტიკა და სადაც დაიწყებენ მუშაობას თავიანთი პროფესიების მიხედვით.

# სპექტაკლი და სამახსოვრო სურათები ბავშვებთან

17 ნოემბერს ოზურგეთის თეატრმა გასვლითი ღონისძიება გამართა – ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში სპექტაკლი „დაიყივლე მამალო“ წარმოადგინა. მსგავსი გასტროლი თეატრს ადრეც გაუკეთებია.

როგორც მაშინ, ამჟამადაც ბავშვებმა სპექტაკლი გულთბილად მიიღეს და თავიანთი ემოციები აპლოდისმენტებით გამოხატეს.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ თეატრის დირექტორმა და მსახიობებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს ბავშვებთან.




# დაწუნებული ანგარიშები და ჩავარდნილი საკითხები

## „მე რომ დეპუტატი ვიყო, ამ ფორმით გამოტანილ საკითხს მხარს არ დავუჭერდი“



განაცხადა საკრებულოს სხდომაზე ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ. მისივე თქმით, საკითხი, რომელიც კარგად არ იქნება მომზადებული და თითოეული ხარჯი პუნქტობრივად ჩაშლილი, სხდომაზე არ უნდა განიხილებოდეს. ამ შემთხვევაში მუდმივი ოპონირების რეჟიმში მყოფი დეპუტატების მოსაზრებები მერის მოსაზრებას თავისთავად დაემთხვა. საკითხი 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ ცვლილებებისა და დამატებების შეტანას შეეხებოდა. პირველი პუნქტი ქალთა დღეებისადმი მიძღნილი ღონისძიებების მხარდაჭერას გულისხმობდა, სადაც გაწერილი თანხის ნაცვლად, ერთიანი თანხა გახლდათ მითითებული, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ სამსახურის მიერ ეს თანხა ჩაშლილია პუნქტობრივად, უბრალოდ ადრე არ იქნა წარდგენილი შესაბამის კომისიაში. ამ შემთხვევაში საკრებულომ გამოიჩინა კეთილი ნება და როგორც აღნიშნეს, ქალბატონები სადღესასწაულოდ უყურადღებოდ არ იქნა დატოვებული.

მეორე საკითხი, ექადიაზე წმ. გიორგის ქუჩაზე მდებარე ტყეპარკში მეწყერისგან წაქცეული ხეების დამუშავების თანხას შეეხებოდა. მერაბ წივწივაძის თქმით, 50 კბ.მ ხე-ტყის დამუშავებისთვის მხოლოდ ერთიანი საბაზრო ფასი - 5000 ლარი აქვთ წარმოდგენილი. ამ საკითხს დეპუტატი თემურ სალუქვაძე გამოეხმაურა. – თქვენ გინდათ მოგცეთ ფული, მაგრამ არ გინდათ შეასრულოთ წინა მოსამზადებელი სამუშაო, კონკრეტულად რაში დახარჯავთ ამ ფულს. ამას გვთავაზობთ?

### დეპუტატები მედიაში განსათავსებელი განცხადებებისთვის განკუთვნილი თანხებით დაინტერესდნენ

რა თანხები იქნება გამოყოფილი მედიაში განცხადებების გამოქვეყნებისათვის და რა პრინციპით განაწილდება ეს თანხა, ამ კითხვებით დეპუტატები თამარ ნადირიძე და ნათია შარაშენიძე დაინტერესდნენ. აღნიშნეს ისიც, რომ ამ საკითხს აუცილებლად მიაქცევენ ყურადღებას.. ეს უდავოდ მისასალმებელია, თუმცა ასევე კარგი იქნებოდა, განხილვისა და კამათის საგანი ყოფიულიყო, რა პრინციპით განაწილდა რამდენიმე თვის წინ მუნიციპალიტეტებიდან მედიაში სარეკლამო წერილებისა და განცხადებებისთვის თანხები და ვინ იდგა ყოველივე ამის თავში და ვისი ინტერესები განხორციელდა.

### ექვსი ხმა რვის წინააღმდეგ, საკითხი პირველ მოსმენაზე ჩავარდა

მას შემდეგ, რაც თავისუფალმა დემოკრატებმა კოალიცია დატოვა, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გადაწყვეტილებების მიღების დროს უმრავლესობა შესაძლოა პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს. საკითხი, რომელიც მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლების გაცემას ითვალისწინებდა, ექვსი მომხრე და ექვსი მოწინააღმდეგე ხმით პირველ მოსმენაზე ჩავარდა. საკითხის პირველი პუნქტით, შპს „ტაქსი გამოძახებით“ ადგილს ათწლიანი იჯარით სარგებლობისთვის ითხოვს. მეორე პუნქტი მეწარმისთვის აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე 35-წლიანი იჯარით სარგებლობისთვის ფართის გადაცემას ითვალისწინებს.

ქალაქის მერმა აღნიშნა, რომ ბაზრის ტერიტორიაზე, გადასასვლელ ხიდზე ყოველგვარი ნორმების დაცვის გარეშე იყიდება ხორცისა და თევზის პროდუქტები,, აღნიშნული ფართის იჯარით გაცემის შემთხვევაში მოიჯარე იქვე ააგებს ახალ შენობას სამაცივრე დანადგარებით, სადაც მოსახლეობას შეეძლება უსაფრთხო პროდუქტების შეძენა.

თემურ სალუქვაძემ განმარტა, რომ აგრარულ ბაზარს ყოველთვის უკავშირდებოდა პრობლემები და არა მხოლოდ ოზურგეთში. ამიტომ მერიამ ამ მიმართებით კომპლექსური ღონისძიებები უნდა შეიმუშაოს, რადგან ეს ძალიან მტკივნეული საკითხია. დაისვა ბაზრის გასხვისების საკითხიც, რაც მერის განმარტებით, შეუძლებელია, რადგან ბაზრის ტერიტორიის 60 % კერძო საკუთრებაა. დეპუტატმა ლევან მგელაძემ დასვა კითხვა, რომ ორივე ტერიტორიის იჯარით გაცემით, შესაძლებელია ბიუჯეტში მეტი თანხა შევიდეს და რატომ არ კეთდება ეს. ბეგლარ სიორიძე: ჩვენ უკანონოდ არაფერს ვაკეთებთ, რაც შეეხება აუქციონს, ამ ტერიტორიების სარგებლობისთვის სხვა წინადადებები შემოსული არ არის.

# მიზანი, რომელიც ინოვაციებს სცილდება

## ოზურგეთში საჯარო სკოლის მოსწავლეების პოლიტიკაში ჩაბმას ცდილობენ

ჯერ კიდევ შარშან, წლის ბოლოს არც თუ უსაფუძვლოდ, ვწერდით, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით, საჯარო სკოლების მოსწავლეთა პოლიტიკაში ჩაბმას ცდილობენ. ამის უტყუარი ფაქტი გახლდათ „ინოვაციების და განვითარების ფონდის" მიერ დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ჩატარებული პირველივე ღონისძიება, როცა დარბაზში მსხდომი მოსწავლეები აქტიურად ჩართეს პოლიტიკური ხასიათის სემინარის მუშაობაში, თანაც დღის იმ მონაკვეთში, როცა ისინი წესით გაკვეთილებზე უნდა ყოფილიყვნენ.

ამ არასამთავრობო ორგანიზაციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე, ბატონი გიგა გლუნჩაძე წარმოადგენს, რომელმაც ხარაგაულელებს ნეპოტიზმით, ოზურგეთელებს კი საარჩევნო პროცესებში ჩართულობითა და „ნაციონალური" აქტივობით დაამახსოვრა თავი.

მაშინ „ალიონს" ბატონმა გიგამ უთხრა, რომ პოლიტიკას შეეშვა და სამოქალაქო სექტორში განაგრძობს მოღვაწეობას. „ალიონს" მაშინაც ზღაპრად მიაჩნდა და დღესაც ზღაპრად მიაჩნია გლუნჩაძის აპოლიტიკურობა, მით უფრო, რომ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მას შემდეგ ბატონმა გიგამ ოზურგეთში კიდევ ორი ღონისძიება გამართა ანალოგიურ თემაზე და ანალოგიური სცენარით. ორივე ღონისძიება ჩატარდა საკლასო-საგაკვეთილო საათებში და ღონისძიების აქტივს წარმოადგენდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ბოლო ღონისძიება გასული კვირის ხუთშაბათს, 19 თებერვალს გაიმართა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის მცირე დარბაზში და მას 10-12 უფროსკლასელი ესწრებოდა. პირველი ღონისძიებისაგან განსხვავებით, მედიისათვის შემდეგი ღონისძიებების გასაშუქებლად არავის უხმია, ამიტომ არის საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ დაფუძნებულ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ მეთოდით მათთვის სასურველი პოლიტიკა შეაქვთ სკოლებში.

მაინც როგორ ხვდებიან სკოლის მოსწავლეები საგაკვეთილო საათებში ასეთ პოლიტიკურ სემინარებსა თუ ღონისძიებებზე?

ოზურგეთის საგანმანათლებლო სკოლების რესურსცენტრის ხელმძღვანელის ლელა იმედაშვილის თქმით, სკოლებში პოლიტიკური პარტიების მიერ ასეთი ღონისძიების გამართვა პრაქტიკულად გამორიცხულია:

— სკოლებში რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ რაიმე პოლიტიკური ხასიათის ღონისძიების გამართვა პრაქტიკულად გამორიცხულია.

გაკვეთილების პერიოდში სკოლაში გამოცხადებული მოსწავლე კი გაკვეთილის გაუცდენელად ასეთ ღონისძიებებს ვერ დაესწრება. თუ დაესწრება, გაკვეთილი უნდა გააცდინოს, გაცდენის შემთხვევაში კი „არა" დაუფიქსირდება, ამაზეც ორი აზრი არ არსებობს. სკოლაში იმ დღეს გამოუცხადებელ, სკოლის გარეთ და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოსწავლეების ქმედებაზე კი სკოლა ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ აიღებს. რაც შეეხება ბატონ გიგა გლუნჩაძეს, შემიძლია გითხრათ, რომ მან ჩვენთან წარმოადგინა განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც, ერთი შეხედვით, მას შეეძლო სკოლებში ჩაეტარებინა თავისი ორგანიზაციის ღონისძიებები, მაგრამ, საკითხის შესწავლის შემდეგ, ჩვენ მას უარი ვუთხარით, — გვითხრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა.

ქალბატონი ლელა ჩვენი დასაზუსტებელი ინფორმაციით დაინტერესდა და ის სკოლები ჩაიწერა, რომლის მოსწავლეებიც „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში", 19 თებერვალს, 12-დან 17 საათამდე, სავაუდოდ, ესწრებოდნენ „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის" ღონისძიებას:

„საინტერესოა. ჩვენ სკოლებში დროდადრო მოულოდნელად ვამოწმებთ გაკვეთილზე მოსწავლეთა დასწრების საკითხს. მართალი გითხრათ, არ გვქონია შემთხვევა, რომ მასწავლებელს არ ჰქონოდა გამცდენი მოსწავლისათვის ჩაწერილი „არა". ხვალაც გადავამოწმებთ და შესაბამის ინფორმაციას მოგაწვდით. — გვითხრა იმედაშვილმა.

# ირაკლი ალასანია: ეკონომიკური პროექტები ხალხთან კონსულტაციებით უნდა განვახორციელოთ

განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში საზოგადოებასთან რეგიონალურ შეხვედრაზე.

შეხვედრა ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატმა თემურ სალუქვაძემ გახსნა და აღნიშნა, რომ თავისუფალი დემოკრატები ის პარტიაა, რომლისთვისაც მთავარი დემოკრატიული ღირებულებებია და ის ქვეყანას გაიყვანს იმ გზაზე, სადაც დგას ჭეშმარიტი, ცივილიზებული ქვეყანა.

ირაკლი ალასანია: ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა კოალიცია. ჩვენი მიზანია ადგილობრივ მმართველობითი ორგანოები უფრო ქმედუნარიანი გახდეს., ვუშველოთ სოფლის მეურნეობას და ეკონომიკას, და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს ხალხთან კონსულტაციებით, რადგან ჩვენ გვყავს ადამიანები, რომლებსაც ამ საკითხებში დიდი გამოცდილება და ცოდნა გააჩნიათ.

ჩვენი მთავარი ამოცანაა მივიდეთ თითოეულ მოსახლემდე, და მივიტანოთ ჩვენი ხმა. ნაციონალურ მოძრაობას რუსთავი 2 ემსახურება. ოცნება გარკვეულწილად აკონტროლებს დიდ ტელესივრცეს."

პარტიის თავმჯდომარე აქტიურ მუშაობას ვადამდელ არჩევნებს არ უკავშირებს. და მიიჩნევს, რომ სავარაუდოდ ხელისუფლება კრიზისიდან თავის დასაღწევად სამთავრობო ცვლილებებს განახორციელებს. რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს, მ ამისი შესაძლებლობა ქვეყანას ამჟამად არ აქვს და არც ამისი სამართლებრივი საფუძველი არსებობს: — ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ ნაციონალებს, რომლებიც ყველაფერზე ყვირიან და გამოსავლის გზებზე არ საუბრობენ. თითქოს ახლა დაიწყეს მუშაობა ამ მიმართებით, მაგრამ მათ არ აქვთ სანდოობა, რადგან 9 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ."

ალექსი პეტრიაშვიმა პასუხი გასცა დარბაზიდან არაერთხელ დასმულ კითხვას,



— აპირებს თუ არა „თავისუფალი დემოკრატები" არჩევნებისთვის ალიანსს ნაციონალურ მოძრაობასთან: — „არჩევნებში ჩვენ ჩვენი ძალებით ვიბრძოლებთ და მერე გადავწყვეტთ, ვისთან ვიმეგობროთ და ვისთან არა.".

თამარ გეგენაძემ მისი პარტიაში გაწევრიანება ახსნა პარიის ერთიანი, სოლიდური ურთიერთობებით.

სოფლის მეურნეობის დახმარების პრობრამის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები გამოხატა ლანთხუთის გამგებლის მოადგილე თამაზ ზენაიშვილმა:— სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამებმა გააძლიერა სოციალისტური ტენდენციები, ხალხი მთავრობას მამა-მარჩენლად მიიჩნევს.

ამ საკითხებმა დარბაზში კამათი გამოიწვია. კარგით, სახელმწიფომ არ უნდა დაუხნას გლეხს მიწა, მაგრამ აუცილებლად უნდა დაეხმაროს, რომ თავად შესძლოს მიწის მოვლა-პატრონობა. დავით ლესელიძის ამ მოსაზრებებს პასუხი ირაკლი ალასანიამ გასცა.

სახელმწიფო გრძელვადიან, შეღავათიან კრედიტებზე მეტად უნდა ზრუნავდეს.

ირაკლი ქადაგიშვილმა ფერმერული მეურნეობებისა და კოოპერაციული გაერთიანებების, ევროსტანდარტების შესაბამისი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რაც ქვეყნის განვიტარების საწინდარი იქნება.

# ბიუროს სხდომებზე გატანილი საკითხები თანდათანობით მწვავდება



**ალიონი:**. 16 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ 4 კომისიის ანგარიში მოისმინა. ანგარიშების განხილვისას რამდენიმე მწვავე საკითხი დაისვა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას წელს 5 სხდომა აქვს ჩატარებული, სადაც 6 საკითხია განხილული.

გელა ჩავლეიშვილი განხილულ საკითხთა შორის დღის ცენტრის „მომავლის სხივის" დაფინანსების მიზანშეწონილების საკითხსაც შეეხო.

—აუდიტის უარყოფითი დასკვნის ფონზე, დღის ცენტრის ხელმძღვანელს ხათუნა ცერცვაძეს ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. ჩვენ წილობრივად ვმონაწილეობთ მის დაფინანსებაში და წელს ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარი გამოვყავით. თუ რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება აქ საბიუჯეტო სახსრები, პირველი კვარტალის ბოლოს შევამოწმებთ, რაზედაც დეპუტატთა მუშა ჯგუფია შექმნილი.

„მომავლის სხივის" თემა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლელა საჯაიას ანგარიშშიც აისახა.

კომისიამ 9 თებერვალს მოისმინა დღის ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში დღის ცენტრის დაფინანსების შესახებ. ხსენებულ ცენტრში ამჟამად რეგისტრირებულია 26 ბენეფიციარი, საიდანაც 13 თემთა მუნიციპალიტეტიდანაა. ცენტრს ემსახურება 15 პედაგოგი და ტექნიკური მუშაკი.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი თანხა შემდეგნაირად განაწილდა: კვების თანხები - 53,1%; კულტმასობრივი ღონისძიებები — 8,3%; ხელფასი — 35 %; ბენეფიციართა დაბადების დღის აღნიშვნა - 3,7%.

საჯაიამ აღნიშნა, რომ კომისიამ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან კონსულტაციით მხარი დაუჭირა დღის ცენტრის 20 ათასი ლარით დაფინანსებას. კვლავ წარმოქმნილ კითხვებს პასუხს ისინი დღის ცენტრის მორიგი გადამოწმების შემდეგ გასცემენ.

ლელა საჯაიამ გურიანთის მუზეუმის შენობის ავარიულ მდგომარეობასა და სოფლის ბიბლიოთეკების პრობლემებზეც ისაუბრა. მუნიციპალიტეტის მუზეუმების და ბიბლიოთეკების გაერთიანებას 5 ათასი ლარის ვაუჩერი გამოუყო წიგნების შესაძენად.

კომისიის თავმჯდომარემ ერთ-ერთი სოფლის საბავშვო ბაღში თანამშრომლებს შორის შექმნილ არაჯანსაღ დამოკიდებულებაზეც ისაუბრა და მისი დროულ მოწესრიგებზე გააკეთა აქცენტი.

— რატომ არის ბაღების გაერთიანებაში პედაგოგთა ასეთი დაბალი ანაზღაურება, როცა ბიუჯეტიდან მათზე 1,2 მილიონი ლარია გამოყოფილი? — დასვა კითხვა სოფ. ასკანის მაჟორიტარმა დეპუტატმა ილია მამალაძემ. ეს კითხვა მოკლე პასუხით მიჩუმდა.

ბიუროს სხდომაზე საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების თავმჯდომარეების ვახტანგ ნიჟარაძისა და ტარიელ აროშიძის ანგარიშებიც მოისმინეს.

მათი ანგარიშის განხილვისას საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეროდი გორდელაძემ (მისი ანგარიშიც მოისმინეს) აღნიშნა: — სოფ. ბახვის ცენტრში იდგა რაიკოოპკავშირის კოოპერატივის შენობა, რომელიც მეპაიებს ეკუთვნოდათ. 1992 წელს იმ მეპაიეებმა, რომლებსაც აქ მაღაზიები ჰქონდათ, 1000-1000 მანეთი შეიტანეს ბიუჯეტში. 2012 წლის არჩევნებისას რამაზ ნიკოლაიშვილმა მოინდომა ამ შენობის დანგრევა იმის გამო, რომ საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ელოდა ბახვში და არ უნდოდა ფასადმოუწესრიგებელი შენობა ენახა. ერთ-ერთ ბახველს გადააღებინა და შემდეგ ისე მოხდა, რომ მეპაიეების ინტერესების გვერდის ავლით, ახალმა ხელისუფლებამ კონკურსის გარეშე მასვე 800 ლარად მიაქირავა შენობა.

ეროდი გორდელაძემ საკრებულოს სამართლიანობის აღდგენა, აუქციონის გამოცხადება და ამ გზით მეპაიეთა დარღვეული უფლებების აღდგენა მოითხოვა.


# „ერთად ავანთოთ იმედის სანთელი"

## აქცია-კონცერტი, ქ. ოზურგეთი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი, 25 თებერვალი, 17 საათი

ა(ა)იპ საზოგადოება „სანთელთან" არსებული საინიციატოვო ჯგუფი „იმედი", ანა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, აწყობს აქცია-კონცერტს **„ერთად ავანთოთ იმედის სანთელი"**

კონცერტის მიზანია ერთად დავეხმაროთ ბენეფიციარებს: **მიშიკო ახვლედიანს** (აქვს თავის ტვინის ანექსიური დაზიანება) და ძმებს — **ირაკლი და ედუარდ ქერქაძეებს** (მწვავე შაქრიანი დიაბეტი, ტიპი-1; ასევე თირკმლის ქრონიკული უკმარისობა. ჩართული არიან დიალიზის პროგრამაში. გარდა ამისა, ედუარდს აღენიშნება დიაბეტური ანგიოპატია და რეტინოპათია, ხოლო ირაკლის — C ჰეპატიტი.

კონცერტი გაიმართება ქალაქ ოზურგეთში, ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, 25 თებერვალს, 17 საათზე. მონაწილეობენ: ჯგუფი „ლურჯი იალქანი", ნანუკა ქურდიანი, ლევან კვინტრაძე, ბაკურ ჩანქსელიანი, რეზი დიდებაშვილი, გიორგი შიოლაშვილი, ანრი ღუდუშაური, მარიამ კახელიშვილი, მონიკა ახვლედიანი.

ბილეთების შესაძენად დაგვიკავშირდით:

**557 973 953 გია სიმონიშვილი**

**598 525 793 პეტროს სანამიანი**

**ა(ა)იპ საზოგადოება „სანთელი"**

**სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"**

**ბანკის კოდი: UGEBGE 22**

**ანგარიშის ნომერი:**

**GE30VT43 0000 0000 373608**

**გთხოვთ. მობრძანდეთ და ერთად დავეხმაროთ აღნიშნულ ბენეფიციარებს, მათ ჩვენი ერთობლივი მხარდაჭერა სჭირდებათ.**

# შეშლილ მსოფლიოს სიცილი გადაარჩენს

## მხატვარი რევაზ ჯაში „სიბრძნე სიაბდლისას“ გვპირდება

თემურ მარშანიშვილი



„სიცილი სერიოზული საქმეა!“ — რამდენადაც მახსოვს, ეს ფრაზა ჰერცენს ეკუთვნის და დარწმუნებული ვარ, ვინც ამ ფრაზას არასერიოზულად აღიქვამს, მას იუმორში სერიოზულად უჭირს.

ჩემს საწერ მაგიდაზე ახლა კარიკატურისა და სატირული სკულპტურის მეხუთე საერთაშორისო ბიენალეს „გაბროვო-81-ის“ალბომი ძევს, იგი 217-ე გვერდზეა გადაშლილი, საიდანაც თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, ოზურგეთელი მხატვარ-კარიკატურისტის რევაზ ჯაშის საუკეთესოდ აღიარებული ორი ნამუშევარი აგერ, 34 წელიწადია, გულიანად ახარხარებს დამთვალიერებელს.

როგორც იმ დროის პრესაში ვკითხულობთ, ბულგარეთში, ქალაქ გაბროვოში იუმორისა და სატირის სახლის მიერ 1981 წელს მოწყობილ ამ ტრადიციულ დათვალიერებაზე, რომლის დევიზი გახლდათ „მსოფლიო გადარჩა იმიტომ, რომ იცინოდა“, 50 ქვეყნის 1124-მა მხატვარმა წარადგინა ბენეფილეზე თავისი ნამუშევრები. ავტორიტეტულმა ჟიურიმ კი ამ ნამუშევრების მხოლოდ მეოთხედი მიიჩნია ალბომში განთავსების ღირსად.

თუმცა, ეს არ იყო რევაზ ჯაშის, როგორც ხალასი იუმორის მქონე, გონებამახვილი, სულით ხორცამდე მხატვარ-კარიკატურისტის, არც პირველი და არც ბოლო საერთაშორისო აღიარება. რეზო მოსწონდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ-გაზეთებს, მისი ნამუშევრები დაუბეჭდავთ ევროპაში - გერმანიაში, ბრიტანეთში, საფრანგეთში... ოკეანის გაღმაც — ამერიკაში, არგენტინაში, ჩილეში, ბრაზილიაში... უმეტესად მისგან დაუკითხავადაც კი. მერწმუნეთ, საბჭოური შეზღუდული სივრცე რომ არა, ქვეყნების ჩამონათვალიც მეტი იქნებოდა და აღიარებაც უფრო დიდი. ერთიც: ამ უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან რეზოს რომ ანაზღაურება მოეთხოვა (ვინ მოათხოვინებდა, თორემ კი), სერიოზულ ჰონორარს გამოჰკრავდა ხელს.

რასაკვირველია, უფრო ადრე რეზოს შემოქმედება მშობლიურ ქალაქში, მხარესა და ქვეყანაში აჯეჯილდა, დაპურებით კი, მიუხედავად კომუნისტური რეჟიმისა, საბჭოეთში დაპურდა და ბევრი იუმორის მოყვარულიც გვარიანად დააპურა. „ლენინის დროშა“ (ახლანდელი „ალიონი“), „ახალგაზრდა კომუნისტი“, „თბილისი“, „კომუნისტი“, „ლელო“, „ნიანგი“, „კროკოდილი“, „კომსომოლსკაია პრავდა“, შახმატნიი ბიულეტენ“, „ოლიმპიური კალენდრები“ — ამ ჟურნალ-გაზეთების იმ ნომრებს, რომელშიც რეზოს შესრულებული კარიკატურები და შარჟებია დაბეჭდილი, მკითხველი დღესაც სათუთად ინახავს. რეზოსთვისაც ყველაზე დიდი ჯილდო, პრემია და სიყვარული ესაა. თუმცა, „საქართველოს მხატვართა გაერთიანების“ (რედაქტორი ოთარ ჩხარტიშვილი) 1997 წლის 1-ლ ნომერს თუ დავუჯერებთ, რეზოს სხვა პრემია და ჯილდოც ჰქონია:

„რეზო ჯაში, ცნობილი კარიკატურისტი, მხატვარი. ხელოვნების თვითდამსახურებული მოღვაწე. იგი მონაწილეობდა იუმორისტთა არაერთ საერთაშორისო კონკურსსა და გამოფენაში. მიღებული აქვს მრავალი პრემია და ჯილდო. ცხოვრობს ოზურგეთში, ჰყავს მეუღლე, სამი ქალიშვილი, ერთი ვაჟი და ერთგული მეგობარი ბაქურა. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, რომელიც შემდგომ აჩუქა ბუხუტიას, ბუხუტია აბდალა იყო და შემდეგ წაართვა ბაქურამ. მედალი ამჟამად ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში“.

ჩემი აზრით, ეს უბრალო კი არა, ბეჭედდასმული ციტატაა, რომელიც მოწმობს, რომ ქართველი მხატვრები კალმითაც შესანიშნავად ხუმრობენ.

ორი წლის წინათ ნაღობილევში მწერალ გიორგი კეჭაყმაძეს ვსტუმრობდი, ბატონმა გიორგიმ რეზო თავის გამორჩეულ მეგობრებში მოიხსენია: პრინციპული კაცია, განსაკუთრებით ჭადრაკში, წაგებას ვერ იტანს, საჭადრაკო ეტიუდები კი მისი ჰობიაო. „ერთხელ, საქართველოს პირველობაზე მიმოწერით ჭადრაკში შეცდომით ჩაეწერა სვლა, რომელიც წამგებიანი იყო. ეს ბათუმელი ადრესატისათვის გადაგზავნის შემდეგ აღმოაჩინა. მაშინვე ბათუმს გაემგზავრა და ცენტრალურ ფოსტაში მივიდა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, მოახერხა წერილის უკან დაბრუნება და სწორი სვლის გაგზავნა, — მითხრა მწერალმა.

პირადად მე მქონდა ბედნიერება, რეზოსთან ერთად, მემუშავა რამდენიმე ფელეტონზე და უნდა ვაღიარო, რომ მკითხველს რეზოს კარიკატურებზე უფრო მეტი უცინია, ვიდრე ჩემს ტექსტზე.

რეზოს თავისი ნიშა აქვს მხატვართა საზოგადოებაში. იღვწის არა მხოლოდ როგორც შემოქმედი, არამედ როგორც პედაგოგი და სასწავლო ნაწილის გამგე ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში. ასე რომ, თუ ამ სკოლიდან მხატვარ-კარიკატურისტის მართვე აფრინდება (დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება) ის აუცილებლად რეზოს ნამოწაფარი იქნება.

იცით, რა მიკვირდა და ახლაც მიკვირს? აკვირდები ამ კაცს და იმდენად მკაცრი ჩანს, გაიფიქრებ, ცხოვრებაში არ გაიცინებსო, დახედავ მის ნამუშევრებს და სიცილით იგუდები.

მოკლედ, რევაზ ჯაში ის ხელოვანია, რომელიც დარწმუნებულია, რომ ამ შეშლილ, შეშლილ, შეშლილ მსოფლიოს სიცილი გადაარჩენს. სწორედ გულიან სიცილს, საღ იუმორს ძალუძს გახადოს ადამიანი სრულყოფილი, მსოფლიო კი — უფრო ლამაზი და სამართლიანი.

ამიტომ, მოემზადეთ სიცილისთვის, სულ მალე თქვენ „ალიონის“ ფურცლებზე ექსკლუზიურად გელოდებათ რევაზ ჯაშის ახალი ნამუშევრები ციკლიდან „სიბრძნე სიაბდლისა“.




ალბომიდან „გაბროვო-81“

*მეზობელ მუნიციპალიტეტში*

# რა ხდება ზოტში – გურიაში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ მაღალმთიან სოფელში

ნუგზარ ასათიანი



გურიის მაღალმთიან სოფლებს შორის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული სოფელი ზოტია, რომელიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდ. გუბაზეულის ხეობაში, ზღვის დონიდან 950 მეტრზე მდებარეობს.

ზოტში მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აჭარის მაღალმთიანეთიდან გადმოსული მოსახლეობის შთამომავლობა ცხოვრობს. სოფელს აქვს საშუალო სკოლა, ადმინისტრაციული შენობა, რამდენიმე მაღაზია. სოფელში ორი მოქმედი ჯამეა.

როგორც ერთ-ერთმა მხცოვანმა მამაკაცმა ო. ა-ძემ გვითხრა, ამ სოფლის ახალგაზრდობა არ მისდევს ვაჰაბიზმს და აქაური თამაზ ჭალაძე ის გამონაკლისია, რომელსაც საკმაოდ რთული ბავშვობა ჰქონდა. გარკვეული დროის განმავლობაში ბათუმში ცხოვრობდა. მის მიერ გაკეთებული მუქარის განცხადებები მათთვის მიუღებელია.

გვინდოდა, სოფლის იმამი გვენახა, მაგრამ სასულიერო პირები აქ პარასკეობით ბათუმიდან ამოდიან და ამდენად კვირა დღეს ორივე ჯამე დაკეტილი იყო.

პირველად სოფლის სკოლა მოვინახულეთ. ზოტის სკოლაში, სადაც ათი წლის წინ 250 ბავშვზე მეტი სწავლობდა, ამჟამად 180 ბავშვი სწავლობს. ამის მიზეზი აქაურების თქმით, ის არასწორი პოლიტიკა იყო, რაც წინა ხელისუფლების დროს ხორციელდებოდა, რამაც ამ სოფელში მიგრაციული პროცესი გააძლიერა. ახალგაზრდა ოჯახები მუნიციპალიტეტის ბარის სოფლებში გადავიდნენ საცხოვრებლად, — ამბობენ ზოტელები.

სკოლის დირექტორის ზაზა ანთაძის თქმით, წელს დაიწყება საშუალო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რომლის აგება ათეული წელია გაჭიანურდა. მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აქვთ ნორმალური სასწავლო პირობები ცალკე შენობაში, დანარჩენები კი ძველ, ამორტიზებულ ხის შენობაში სწავლობენ.

ხომ გახსოვთ, 10-12 წლის წინათაც ამ პრობლემის მოგვარებას ვცდილობდით, ახლა საკითხი მგონი დადებითად გადაწყდა, — გვითხრა ზოტის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნევრიზ მიქელაძემ.

დღეს ზოტის ცენტრში ხალხმავლობა იყო. სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ერისეული“ საანგარიშო კონცერტით უნდა წარმდგარიყო თანასოფლელების წინაშე. სოფელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელძღვანელებიც ავიდნენ.

ირაკლი კუჭავამ და ზაალ მამალაძემ სოფლის ბაღის მშენებლობა მოინახულეს.

ზოტში თანამედროვე ბაღი გაიხსნება. ძირითადი მშენებლობა კი დასრულდა, მაგრამ მშენებელმა შიდა სამუშაოები გააჭიანურა. მშენებელი ოზურგეთიდანაა (ნაკაიძე), სამუშაოების ვადების დარღვევისათვის ჯარიმებს კი გადაიხდის, მაგრამ თუ კვლავ ასე განაგრძო, მასთან დადებულ ხელშეკრულებას გავაუქმებთ, — გვითხრა ირაკლი კუჭავამ.

თუმცა, რამდენიმე წუთის შემდეგ სოფ. ზოტის კლუბის სცენაზე ასეულობით მაყურებლის თვალწინ ისეთი ცეცხლი გააჩაღეს ოზურგეთელი ქორეოგრაფის ემზარ სანიკიძის აღზრდილებმა და არანაკლები მოწონება დაიმსახურეს სოფლის სტუმრებმა, ანსამბლ „ედელვაისის“ (გიორგი ჩიხლაძე) წევრებმა, რომ ზოტელებს დროებით ზამთარიც დაავიწყდათ, უთოვლობაც და სხვა პრობლემებიც.

კონცერტის შემდეგ ზოტელები სოფლის ცენტრში საუბრობდნენ იმ ჰესზე, რომლის აგებასაც მთავრობა მდ. გუბაზეულის შენაკადზე, მდ. მყვირალაზე აპირებს. ეს ხომ ახალ სამუშაო ადგილებს ნიშნავს.

ჩვენ მთის მკაცრ პირობებში გვიწევს ცხოვრება. გვიხარია, როცა სოფელში ამოდიან და ჩვენი პრობლემებით ინტერესდებიან. წლების მანძილზე ბევრი წავიდა ბარში, მაგრამ სოფელი ჯერ კიდევ არ დგას დაცლის საფრთხის ქვეშ. ამიტომ დროულად გვჭირდება სახელმწიფოსაგან თანადგომა, — გვითხრეს წამოსვლისას ზოტელებმა.



**იუბილე**

# ვალერიან (ვოვა) ცანავა - 80



ცნობილი მეცნიერის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ბატონი ვალერიან (ვოვა) ცანავას წვლილი მნიშვნელოვანია ქართული მეცნიერების და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ვალერიან ცანავა დაიბადა 1935 წელს ქ. სოხუმში, ცნობილი მოღვაწის პეტრე ცანავას ოჯახში. 1953 წელს დაამთავრა სოხუმის №1 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1958 წელს დაასრულა აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაიგზავნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ანასეული). 1961-1964 წლებში ვ. ცანავამ გაიარა ასპირანტურაში სწავლების სრული კურსი სასუქებისა და ინსექტოფუნგიციდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. მოსკოვი) დოლგოპრუდის საცდელ სადგურში, პროფესორ ფ. ტურჩინის ხელმძღვანელობით და 1966 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამის შემდეგ იგი დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და იმავე წელს არჩეულ იქნა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე აგროქიმიის განყოფილებაში.

1972-1988 წლებში ვ. ცანავა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1988 წელს მან ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ჩაის მცენარის აზოტოვანი კვების აგროქიმიური საფუძვლები". 1988-1995 წლებში ვ. ცანავა ორი ინსტიტუტის გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველი მოადგილეა, ხოლო 1995 წლიდან 2006 წლამდე – ამავე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი. 2006 წლიდან კი ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვენელია და ამასთან ერთად 2006-2010 წლებში – ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ვ. ცანავა 1992 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტია, ხოლო 1995 წლიდან – აკადემიის წევრი.

ვ. ცანავას მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების ძირითადი მიმართულებებია:

– აზოტის მეტაბოლიზმის პროცესის შესწავლა ჩაის მცენარესა და ციტრუსოვან კულტურებში სტაბილური იზოტოპი 15 გამოყენებით;

– აზოტოვანი სასუქების გავლენა სუბტროპიკული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლებსა და ბიოქიმიურ აქტიობაზე;

– აზოტის ბალანსის შესწავლა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების მოვლა-მოყვანის აგროცენოზში.

ვ. ცანავას მიერ ჩატარებულ კვლევებში ფართოდ არის გამოყენებული ინსტიტუტის მრავალწლიანი სტაციონარული ცდები, როგორც საბაზისო კვლევის ობიექტი წითელმიწა ნიადაგებში აზოტის ფრაქციული შესწავლისათვის. ამ კვლევებით მეცნიერულად დასაბუთებულია აზოტის ფონდის ცვლილებები წითელმიწებში აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების ხანგრძლივი გამოყენების ფონზე, ასევე სასუქების გავლენა პლანტაციების პროდუქტიულობასა და მზა ჩაის ხარისხზე. დადგენილია, რომ წითელმიწებისა და სუბტროპიკული გაეწრებული ნიადაგების პირობებში ჩაის პლანტაციებიდან მაქსიმალური მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითად პირობას ფოსფორიანი სასუქების გამოყენება წარმოადგენს, მათი ფორმების, ვადებისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. დადგენილია აგრეთვე კალიუმიანი სასუქების გამოყენების ეფექტიანობა აზოტით და ფოსფორით ხანგრძლივად განოყიერებულ ასაკოვან პლანტაციაში. მნიშვნელოვანია ვ. ცანავას მონაცემები ჩაის მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ცილოვანი და თავისუფალი ამინმჟავების აზოტის ცვლილების დინამიკის შესახებ, აზოტით უზრუნველყოფისა და დოზებისაგან დამოკიდებულებით. შესწავლილია აგრეთვე აზოტის გაზრდილი დოზების (400-500 კგ/ჰა) უარყოფითი გავლენა თავისუფალი ამინმჟავების, განსაკუთრებით კი შეუცვლელი ამინმჟავების შემცველობაზე და მზა ჩაის ხარისხორივ მაჩვენებლებზე. მრავალწლიანი და მრავალმხვრივი კვლევების შედეგები ასახულია ჩაისა და ციტრუსოვნების მოვლა-მოყვანის პრაქტიკულ რეკომედაციებსა და აგროწესებში, კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმების შედარებითი შეფასება ნიადაგში მათი შესატანი დოზები და ფორმები.

ვ. ცანავა ავტორია 180 სამეცნიერო შრომისა, მათ შორის 3 მონოგრაფიისა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ (1985 წ.) და „სსრკ-ის მეჩაიეობა“ (1988 წ). თანაავტორობით (მ. დარასელია, ი. ვორონცოვი, ვ. გვასალია) გამოცემული.

მონოგრაფიაში „ჩაის მცენარის აზოტით კვების აგროქიმიური საფუძვლები“ თავმოყრილია მრავალწლიანი კვლევების შედეგები ჩაის პლანტაციების ნიადაგების აზოტის ფონდის შესახებ. სტაბილური აზოტის 15 მეთოდის გამოყენებით დეტალურად არის შესწავლილი შეტანილი აზოტის ბალანსის სტრუქტურა და დადგენილია სასუქის აზოტის გავლენა ნიადაგის და მოძრავ აზოტზე, ასევე ჩაის ბუჩქის ცალკეულ ნაწილების საერთო აზოტში მინერალური სასუქების ხვედრითი წილი. ვალერიან ცანავას მიერ დასაბუთებულია მცენარის აზოტით კვების პრობლემის თითქმის ყველა ასპექტი საქართველოს ჩაის პლანტაციების მაგალითზე. კერძოდ, აზოტოვანი სასუქების ფორმებისა და ნორმების გავლენა ჩაის პლანტაციების მოსავლიანობაზე, ნიადაგის აგროქიმიურ თვისებებზე, ნიადაგური აზოტის ფრაქციულ შედგენილობაზე და აზოტის გარდაქმნაზე წითელმიწა ნიადაგებში ჩაის კულტურის ქვეშ და სხვ. მან ცალკე კვლევები მიუძღვნა აზოტის შეთვისებასა და გარდაქმნას ჩაის მცენარეში, ასევე აზოტოვანი სასუქების მოქმედებას ჩაის ბიოქიმიურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, აზოტოვანი ნივთიერებების შემცველობის დინამიკაზე ჩაის მცენარეში. მონოგრაფიაში გამახვილებულია ყურადღება ჩაის პლანტაციებში აზოტის ბალანსზე და მცენარის მიერ სასუქების აზოტის გამოყენებაზე, კერძოდ, აზოტის ჩართვაზე ნიადაგის აზოტის სხვადასხვა ფრაქციაში და მის გამორეცხვაზე აზოტოვანი სასუქების ფორმებთან დამოკიდებულებაში.

დიდია ვალერიან ცანავას წვლილი სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 20 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამაგდარი მეცნიერი წარმატებით განაგრძობს ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესწავლის და განოყიერების დიფერენცირებული სისტემის შემუშავების მიმართულებით.

ვალერიან ცანავას კარგად იცნობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის გარეთ. იგი არაერთხელ იმყოფებოდა სამეცნიერო მივლინებებში - ვიეტნამში, ლაოსში, კუბაში, ინდოეთში და ჩინეთში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული მიღწევების გაზიარების მიზნით.

გაწეული ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისათვის ვალერიან ცანავა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ღირსების ორდენებით.

**საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომლები, მეგობრები და კოლეგები დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავენ ღვაწლმოსილ მეცნიერს ბატონ ვალერიან ცანავას 80 - წლის საიუბილეო თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მხნეობას, სიხარულს და მომავალ წარმატებებს.**

**ოზურგეთი, ანასეული.**

# ნუგზარ ნადარაია –70

**ცნობილ სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეს, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტს, მეცნერებათა მრავალი აკადემიის ნამდვილ წევრს ნუგზარ ნადარაის დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.**



ბატონო ნუგზარ! მაქვს პატივი ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის გურიის რეგიონული ორგანიზაციის სახელით დიდი პატივისცემით და სიყვარულით მოგესალმოთ და მოგილოცოთ დაბადების 70 წელი. მინდა გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე და წარმატებები საზოგადოებრივ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

რომაელი ფილოსოფოსი სენეკა წერდა: ჩვენთვის ადამიანებისათვის, საჭიროა ისეთი კაცი, რომლის მაგალითით შევძლებთ საკუთარი ხასიათის გაწვრთნას განმტკიცებას. რა ბედნიერია იგი, ვინც თავისი ყოფნით გვრწვრთნის ჩვენ. ძნელია არ დავეთანხმო მას და რაოდენ სასიამოვნოა იმის გასიგრძეგანება, რომ ასეთ ადამიანთა შორის საუკეთესოა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია. ნიჭიერი, განსწავლული, ზნემაღალი, ტოლერანტი, თავმდაბალი, ორგანიზატორების უბადლო თვისებებით დაჯილდოებული. ჩვენ თქვენი თანამებრძოლები აღფრთოვანებული ვართ თქვენი სულიერი სიფაქიზით, ადამიანობით, ზრდილობით, კეთილშობილებით, უმცროს-უფროსის მეგობრბით.

მე-12, მე-13 საუკუნის დიდი სპარსელი პოეტი საადი წერდა:

***ორმაგად უნდა ცოცხლობდეს კაცი,***
***ცხოვრების მიზანს რომ მიაღწიოს,***
***ერთი სიცოცხლის გამოცდილება,***
***მეორეში რომ საქმედ აქციოს.***

ბატონო ნუგზარ! უფალმა თქვენ ასწლიანი ცხოვრება დაგანათლათ და სამოცდაათი წლის ცხოვრების მანძილზე ძალიან ბევრი საქმე გააკეთეთ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და უკვდავყოფილი იქნება თქვენი სახელი. ასე რომ, თქვენნაირი ადანიანისათვის ორმაგი სიცოცხლე სულაც არ არის საჭირო. ერთი სიცოცხლის მანძილზე თქვენ საქართველოსათვის, ქართველი ხალხისთვის თქვენს დიდ გამოცდილებას სასიკეთო საქმედ აქცევთ. უმრავლოს საქართველოს ბატონ ნუგზარ ნადარაიას ნაირი ადამიანები!

**რევაზ თედორაძე,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის გურიიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აკადემიის

# „ალიონის“ იუბილარები



**გაზეთი „ალიონი“ დაბადების დღეს ულოცავს თანამშრომლებს ქეთი ბოლქვაძესა და სალომე ცომაიას. უსურვებს ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, წარმატებებს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. გვჯერა ქეთი და სალომე თავიანთ სიტყვას იტყვიან გურიის უძველესი გაზეთის ხვალინდელი დღის მშენებლობაში**

# ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს საჯარო აუქციონს

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | მიწ. შენობის ფართი კვმ | საწყისი ფასი (ლარი) | „ბე" (ლარი) 50 % | „ბიჯი" (ლარი) 5 % | მონაწილის ბილეთი (ლარი) | აუქციონის ბიჯის დანამატი | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ოზურგეთი 9 აპრილის ქ. | 26.26.47.076 | 402.00 კვ.მ | №1 განაშენიანების ფართი 186 კვ.მ საერთო ფართი 311.8 კვ.მ. სართულიანობა 2 | 27100 | 13750 | 1375 | 50 | 400 | 27500 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ოზურგეთი წუწუნავას ქ. №11 | 26.26.48.254 | 2047.00 კვ.მ | №1 (აუზი) განაშენიანების ფართი 37 კვ.მ №2 (დანგრეული) განაშენიანების ფართი 116 კვ.მ №3 (დანგრეული) განაშენიანების ფართი 92 კვ.მ | 16400 | 8300 | 830 | 50 | 200 | 16600 |

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. "სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):"

* აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;

* საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში

* აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია

* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300893205

* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია"-ში

მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 24 თებერვლიდან 24 მარტის 12 სთ-მდე.

აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 24 მარტს; 14 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.

"ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: 595 22-08-26, 599 97-98-37, 574 77- 74- 77"

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | ლაზათი | | ფილოსო-ფოსი | | | |
| | | | | | | ქალაქი კანადაში | | ყვავილი | | | | | | | | |
| | | | | | | | | | ტოტი | ვარსქენის ცოლი | | | უღელტეხილი | | ცეცხლის ენა | |
| | | | | | | უფალი ჩვენი | სოფელი სტეფანწმინდაში | | ვაზის ჯიში | სპორტის სახეობა | | | | საესტრადო ანსამბლი | | |
| | | | | | | | | | | | პატარა ურო | | | | | სიმწრის ...... |
| | | | | | | ბაზრობა თბილისში | | | | | უძველესი მცენარე | ქართველი აკადემიკოსი | | | | |
| | | | | | | დავით ...... | | | | | | | | | | ოხრახუში |
| | | | | | | დიდი მუსიკალური ჯგუფი | ცნობილი ჩოგბურთელი | | | | | | | | იალქანი | |
| | შინაური ფრინველი | | | | | | | | | | | უბანი თბილისში | | | | |
| | | | ცხვირის ნაწილი | მუცელი | ცხოველის ხელი | | | ვიწრო გასასვლელი ზღვაში | | | | | | ერთად ასხმული მტევნები | | |
| | კეთილშობილი მცენარე | | | | | | | | | | | ბრაზილიელი ფეხბურთელი | | | | |
| | | | | | | | | | | | თანხმობის ნიშანი | | | | ნაცვალსახელი | |
| | | სიგიჟის ქალღმერთი | | | | | ცხოველი | | | სამაგიდო თამაში | | | | | | |

# წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — იზაბელ აჯანი; იდეალური შეთანაწყობა — ჰარმონია; სოფელი ტაოკლარჯეთში — ზარზმა; პატარა დროშა — ალამი; თბილისური ჟარგონი — ტო; ბეგარა — ღალა; თუთიყუშის სახეობა — რა; სულელი გურულად — აბდალი; ცეცხლის ენა — ალი; ჭრილობა — იარა; ყვითელი ფერის ყვავილი — ბეგონია; გარეული ფრინველი — გნოლი; სოფელი სამტრედიის რაიონში — ნოღა; სანადირო დოლი — თაბლა; ცხენის კუდი — ძუა; თეჯირი — ძგიდე; ლექსის ძარღვი — რითმა; უარყოფა — არ; სპარტელთა დღესასწაული — იაკინთია; მოდური და გამძლე ქსოვილი — ჯინსი; გარეული ცხოველი — ანტილოპა; ... კარენინა — ანა; სალობავი მასალა - წნელი; ... კასპაროვი — გარი; პატარა ტიკი — ტიკჭორა; მომღერალთა ხუთეული — კვინტეტი; მამაკაცის სახელი — გელა; ფიგურა ჭადრაკში — ეტლი; ქიშპი — შური; სასჯელის სახეობა — ვირზე შესმა; მინერალური წყალი — ნუგელა; ქართლის დედაქალაქი — გორი; პირველი ორნიშნა რიცხვი — ათი; ქალის სახელი — ესმა; სახელმწიფო აფრიკაში — სომალი; თვე — მაისი; გემების სადგომი — პორტი; მუსიკალური ინსტრუმენტი — არღანი; კოპიტი, ანუ — იფანი; უიღბლობის დაბედება — ნავსი; შტატი აშშ-ში — არიზონა; სოფელი ზუგდიდის რაიონში — ორული; სასწაული — ფურორი.

# ვერცხლის მოყვარე ფირალი დათულია

ენვერ გოგუაძე

დასაწყისი იხ. ალიონი №5,6,7 2015 წელი.

აღნიშნული კორესპონდენციის პასუხად ,,ტომით გურულს" მაგრამ ,,უსახელო" ავტორს, ცნობილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ,,თამარიანის" ავტორმა, ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლმა, სიმონ დავითის ძე გუგუნავამ ჯეროვანი პასუხი გასცა გურულთა ,,უშრომელ" და ,,სიზარმაცით" აღსავსე ცხოვრების შესახებ და აქვე დაასაბუთა, რომ ხანმოკლე დროით მოღვაწე ავაზაკებს გურიაში ხალხი არასოდეს ჰყოლია შემწედ და თანამგრძნობლად, რომ გურიის მოსახლეობის ძირითად მიზანი მუდამჟამს ავაზაკთა შეპყრობა, მათი ფიზიკური ლიკვიდაცია და განადგურება იყო. სიმონ გუგნავას პასუხი ,,უცნობი გურულისადმი" ამ მხრივ ძალზე ყურადსაღებად გვესახება, რადგან იგი მრავალ მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს ფირალთა ისტორიის ჯერეთ უცნობი მასალების თვალსაზრისით. 1822 წლის 4 მარტს ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, ბატონი სიმონ დავითის ძე გუგუნავა უცნობსა და უსახელო გურულ კორესპოდენტს აუწყებს:

,,ბატონო უსახელო გურულო კორესპოდენტო! მე ვფიქრობ, რომ თქვენ გურული არ უნდა ბრძანდებოდეთ და უსამართლოდ მითვისებული უნდა გქონდეთ გურულობის წოდება, თორემ თუკი ნამდვილად გურული ბრძანებულიყავით, უეჭველად უფრო სიმართლით და სიბეჯითით აგვიწერდით გურულების ზნე-ჩვეულებას და ხასიათს, რის გამოც იძულებული ვარ თქვენს კითხვაზედ შემდეგი პასუხი მოგახსენოთ. გურულ ავაზაკებს, რომლებიც გარემოებათა გამო განდევნილებად და ფირალებად ითვლებიან, ბადებენ ჩვეულებრივად ისევ გურული დედები. გურია ასაზრდოებს მათ და გურიაში ჰპოულობენ ნებაუნებურად თავშესაფარს, ბინას. მაგრამ არა ყველა გურული ასაზრდოებს და აბინადრებს იმათ, როგორც თქვენ ამტკიცებთ ქვემორე მოყვანილი უსაფუძვლო მაგალითებით, არამედ მცირეოდენი ნაწილი გურულებისა. მე ასე ვფიქრობ, და სარწმუნოც არის, რომ ას კომლ გურულზედ ერთი თუ გამოდგება ავაზაკების თანამგრძნობი და შემნახავი, ისიც ნახევარი ქვრივ-ობლები და გაჭირვებულნი, იქ შედიან ოთხი თუ ხუთი თავზედ ხელაღებულნი შეიარაღებულნი ფირალები ქვრივთა და მცირეწლოვანთა სახლებში, (თვითვე იწყებენ მასპინძლობას) და მასპინძლებს სახლის გარეთ აღარ გაუშვებენ. თუ სადილი და ვახშამი მზათ დაუხდათ, მიირთმევენ, თუ არადა, ბრძანებით გააკეთებინებენ, გამოიფუშებიან, მოისვენებენ და როცა მოინდომებენ, გზას გაუდგებიან... მასპინძლებს ოთხისა და ხუთის წილის ფასის მიხედვით ასაჩუქრებენ, რომლის მიზეზით ეს ყოვლად ღატაკები ერთის მხრივ სარგებლობის მიხედვით და მეორეს მხრით თვლების (ფირალად გავარდნილების) შიშით, რომელნიც მხილებისათვის ამოწყვეტას და ცოცხლად გადაბუგვას ემუქრებიან, ხმას იწყვეტენ და ვერ ამხელენ და ამ წესით ავაზაკების შემნახველადაც რჩებიან ინ დრომდის, სანამ გაუგებენ. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვითომ გურულები შრომის უჩვეულობითა და სიზარმაცის გამო, გადიოდნენ ფირალად, უსაფუძვლო ჭეშმარიტებაა... საზოგადოდ გურულები მეტისმეტად გამჭრიახნი და მახვილგონიერნი არიან, რის გამოც გვაკვირვებს თქვენი ეს მოხსენება, რომლითაც ასე დაბრმავებულ და უჭკუო ხალხად აცნობთ საზოგადოებას თქვენს თანამოძმეებს. ნუთუ ხუთისა და ექვსის თვით, ან თუნდაც ერთის წლით უშრომლად თავის რჩენისათვის ითვისებს გურული ამ ყოვლად საზიზღარს სახელს ავაზაკობისას და იმდენი არც კი ესმის, რომ შეუბრალებლის ტყვიით უნდა დაბოლავდეს მისი ეგრეთ მცირე ხნით სიმართლეზედ დამყარებული სიცოცხლე? მაშინ ყოველი ჯურის ხალხზედ უგუნურად უნდა იყოს ცნობილი გურულები, რომელნიც ისტორიულის შემოწმებით არც ერთს ნაციის ხალხზედ უკან არ არიან დაყენებულნი ბუნებითი ჭკუითა და გონიერებით. ამ საგანზე მე საჭიროდ არ ვრაცხ სიტყვა გავაგრძელო, რადგან იმედი მაქვს, ჩვენი მკითხველების დიდი უმრავლესობა ამაზედ დაბეჯითებით დამემოწმებიან, ამიტომ არ იქნება ურიგო, რომ შესცვალოთ თქვენი (უაზრო) აზრი გურულებზედ და დაიხსომოთ, რომ არც ერთი გურული არ წავა ფირალად სიზარმაცის გამო და არ ამსხვერპლებს თავის თავს მისი მოძმეების ნაძარცვ-ნაგლეჯით ორის დღით თავის შენახვას. სიიმონ გუგუნავს პასუხში. უცნობი კორესპოდენტისადმი განსაკუთრებით წინა პლანზეა წამოწეული გურულთა მიერ ,,გავარდნილი ფირალების" გაცემა, ღალატი, მათი მკვლელთა მიმართ ხელის შეწყობა, რაც ცხადად მოწმობს იმ გარემოებას, რომ გურიაში ხალხი დიდი გულისყურით არ ეკიდებოდა ფირალთა დაცვას, შენახვასა და მათ მოვლა-პატრონობას. ფირალი ყელში ამოსული ჰყავდა გურულს. მითი ფირალთა სიყვარულის შესახებ მარქსისტულ ყაიდაზე გადამღერებულმა ლიტერატურამ შექმნა ნაძალადევად, რადგან ტყეში გავარდნილი ფირალები შემდგომში მარქსისტული პარტიის კომიტეტმა თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარა და მათ მიერ განსაკუთრებულ ძარცვა-გლეჯას კლასობრივი ელფერი მისცა და დიდების შარავანდედით შეამკო ,,ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლები". ზემოაღნიშნულის შესახებ. ,,თამარიანის" ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს: გურიის მკვიდრთა ხასიათსა და მათი ნამდვილი რაობის აღწერა თქვენ განზრახ არ გინებებიათ, რადგან თქვენის მოძმეების განკიცხვა გეტყობათ საამურ საგნათ აგიღიათ. თქვენ ბრძანებთ... რომ ავაზაკების გაცემა გურულებითგან თითქმის შეუძლებელი არის, რადგან იმათი გაცემა და ღალატი დიდ სირცხვილად მიაჩნიათო: უნდა გამოგიტყდეთ თქვენის მხრით ამნაირი ცილისწამება თქვენი თანამოძმე გურულებისადმი საშინელება არის, გთხოვთ, მიბრძანოთ ბატონო კორესპოდენტო! რა დროს რომელი ავაზაკი შეიპყრეს გურიაში გაუცემლად და უღალატებლად? რადგან თქვენ არ გსურთ მიპასუხოდ ამაზედ, მე თვით ჩამოგითვლით, რამდენიც გამახსენდება, გურულებისაგან გაცემული ავაზაკების სახელებს. ვინ გასცა სახელგანთქმული ფირალი სურგულაძე, რომელიც მოკლა კაპიტანმა ივანე დუმბაძემ? გურულმა, გვარად ვანიძემ. ვინ უღალატა ავაზაკს გოგუაძეს, რომელიც მოჰკლა სენაკის მაზრის უფროსის თანაშემწემ ბატონმა კალანდარიშვილმა? გურულმა — გვარად კუკულავამ. ვინ გასცა განდევნილი ჭყონია, რომელიც მოჰკლა იმ დროს



პოლიციის ბოქაულმა ბატონმა ჩიგოგიძემ? გურულმა აზნაურმა, გვარად ჭყონიამ. ვინ მოჰკლა ღალატით მწყემსის კარავში განთქმული ავაზაკი მამულაიშვილი? - გურულმა, გვარად თალაკვაძემ. ვინ გასცა ფირალი ქუთათელაძე, როცა შეცდომით მის მაგიერ აზნაური ბერიძე მოჰკლა პოლიციის ბოქაულმა ვაშალომიძემ? - გურულმა, გვარად ხაჯიბეგოვმა. ვინ მიუყვანა ღალატით ჯვარცმის ეკლესიაზედ ჩასაფრებულს სტრაჟებს ავაზაკი ილარიონ დათუნაიშვილი და მისი ამხანაგები დარჩიები, რომელნიც ვეღარ დაიჭირეს და გაექცათ მოდარაჯეთ? - გურულმა აზნაურმა მგალობლიშვილმა. ვინ გასცა იგინივე, სოფელ ჯუმათში, როცა განსვენებულმა თავადმა იესე გურიელმა და მაზრის უფროსმა ბატონმა იაგოროვმა დათუნაიშვილი შეიპყრეს და უფროსი ძმა დარჩია მოჰკლეს? - გურულმა ნინიძემ, რომელმანაც თავის თავი შესწირა იმავე დროს ავაზაკის გამოსროლილ ტყვიას.

(გაგრძელება იქნება)

## ოზურგეთელი მოჭიდავეების წარმატება ვ. მაისურაძის საერთაშორისო ტურნირში

ქალაქ თბილისში ჩატარდა ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 200-ზე მეტი მოჭიდავე.

წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის, ტურიზმისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ დაფინანსებული მოჭიდავეები:

***ლიხაურის ჭიდაობის სკოლა (მწვრთნელი ალექსანდრე ბოლქვაძე):***

*I ადგილი — ირაკლი ძიძისტარიშვილი, 50 კგ წონითი კატეგორია;*

*II ადგილი — საბა ცეცხლაძე — 100 კგ წონითი კატეგორია;*

*III ადგილი — რომიკო ლომინაძე, 54 კგ წონითი კატეგორია;*

*III ადგილი — რობიზონ ესაძე, 85 კგ წონითი კატეგორია.*

**ლაითურის ჭიდაობის სკოლა:**

*II ადგილი — ირაკლი მეგრელიშვილი — 58 კგ წონითი კატეგორია.*

***ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლა:***

*II საპრიზო ადგილი — გიორგი ჩხაიძე 50 კგ წონითი კატეგორია; დავით ბაკურაძე 63 კგ წონითი კატეგორია; გიორგი ურუშაძე, 69კგ წონითი კატეგორია მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები.*

*63 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა გია გიორგაძემ. მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი.*

## სპორტი

# თემურ ღლონტი კვლავ საუკეთესოა

**ალიონი.** ოზურგეთის სპორტის სასახლეში ჩატარდა გურიის რეგიონის პირველობა ტაეკვან-დოში, რომელსაც საქართველოს ტაეკვან-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე გონგაძე ესწრებოდა (ოსტატი, შავი ქამარი VIII დანი).

შეჯიბრში 40 სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთაგან წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ (ვაჟები): 20 კგ — გიორგი ჩანქსელიანი; 20-25 კგ — ლუკა აფხაზავა; 30-35 კგ. — ბექა ბერიძე; 40-45 კგ — ლუკა კუნჭულია; 45-50 კგ — კოტე გუჯაბიძე; 55-60 კგ — ნიკა ბოლქვაძე; 60-65 კგ — ზაურ თუთაშვილი; 70 კგ — როლანდ (ასლან) მახარაძე; +75 — თემურ ღლონტი.

გოგონები: 30-35 კგ — ლიზი მჟავანაძე; 40-45 კგ — მარიამ ინწკირველი; 50-55 კგ — თიკო მჟავანაძე.

ალექსანდრე გონგაძემ ოზურგეთელ თემურ ღლონტს საქართველოს ტაეკვან-დოს ფედერაციის სპეციალური პრიზი



გადასცა, ხოლო გურიის ტაეკვან-დოს ფედრაციის პრეზიდენტმა ირაკლი ტულუშმა (ოსტატი, შავი ქამარი, III დანი) ,,ქუავეის" ორბარათიანი მობილური ტელეფონი.

გურიის ტაეკვან-დოს ფედერაციამ საუკეთესო სპორტსმენად აღიარა: თემურ ღლონტი, გიორგი ჩანქსელიანი; ბექა ბერიძე, ალექსანდრე ტყაბლაძე. მათ შესაბამისი სიგელები გადაეცათ.

ალექსანდრე გონგაძემ აღნიშნა, რომ გურია საქართველოში ტაეკვან-დოს განვითარების ხერხემალია, აქ სპორტის ეს სახეობა კარგად არის განვითარებული და ტაეკვან-დოს პოპულარიზაციისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ირაკლი ტულუში და გიორგი ბერიძე.

რეგიონში ტაეკვან-დოს განვითარებისა და ხელშეწყობისთვის ფედერაციამ საპატიო სიგელები გადასცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ქ. ოზურგეთის მერს, სპორტსაზოგადოების, სპორტსკოლის დირექტორებს და ადგილობრივი მედიასაშუალებების ხელმძღვანელებს.

აღნიშნული შეჯიბრი გურიის ტაეკვან-დოს ფედერაციამ საკუთარი ხარჯებით ჩაატარა და ახლო მომავალში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებს გეგმავს.

— აპრილში სომხეთში ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, ხოლო ივლისში მოლდოვაში მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენ ამ შეჯიბრებაში გასამგზავრებლად ადგილობრივი ხელისუფლების იმედი გვაქვს —გვითხრა ირაკლი ტულუშმა

## საქართველოს ზამთრის და ეროვნული ჩემპიონატი მძლეოსნობაში

7-8 თებერვალს ქ. თბილისში მძლეოსნობის სასახლემ მძლეოსნობის ღია ეროვნულ ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელშიც ლატვიელი და უკრაინელი მძლეოსნებიც მონაწილეობდნენ. ოზურგეთელ მძლეოსანთა გუნდში ასპარეზობდნენ: ნიკა კარტავცევი, გოგა ჭიხვარია, ნანი პაკელიანი, დავით გოი, ელენე ტოლსტოვა, ზურაბ კაკაურიძე. გუნდმა წარმატებით იასპარეზა, საერთო ჯამში 4 ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა. საქართველოს ჩემპიონობა და ბალკანეთის ქვეყნების ზამთრის ჩემპიონატის საგზური 21.02 ქ. სტამბული (თურქეთი) მოიპოვა ნიკა კარტავცევმა 60მ, დრო 6.97, 200 მ,-- 22.32 (ელექტრონიკა).

საქართველოს ჩემპიონის ტიტული და I--II ადგილი მოიპოვა ნანი პაკელიანმა ბირთვსა და ბადროს ტყორცნაში. (ბირთვი 4კგ და ბადრო 1 კგ) ასევე კარგად იასპარეზეს ელენე ტოლსტოვამ და დავით გოიმ, ელენე 200 მ ფინალში ასპარეზობდა და მისი შედეგი 27.83 (ელექტრონიკა) IV იყო საქართველოს მასშტაბით. მალე ის ანტალიაში საქართველოს ნაკრებ გუნდთან ერთად გაივლის წვრთნებს. დავით გოის შედეგი V იყო სიგრძეზე ხტომაში. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ამ შეჯიბრზე სამი ახალი საქართველოს რეკორდი დამყარდა უროს ტყორცნა და ჭოკით ხტომაში ქალებს შორის და სიგრძეზე ხტომაში ვაჟებს შორის, (7მ და 97სმ), რაც სასიხარულოა და იმაზე მეტყველებს რომ მძლეოსნობა ერთ-ერთი წამყვანი სპორტის სახეობა იქნება საქართველოში.

გუნდი მოამზადა მწვრთნელ-მასწავლებელმა მარინე კოტრიკაძემ.

## კახა ირემაძის ბრინჯაო

საქართველოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის წარმატებით იასპარეზა ოზურგეთელმა მოჭიდავემ კახა ირემაძემ (მწვრთნელი დავით მაჭარაშვილი). ოზურგეთელი ფალავანი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ნახევარფინალი მან უკომპრომისო შერკინებაში დათმო სამტრედიელ სპორტსმენთან, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი შანსი არ დაუტოვა საგარეჯოელ მოჭიდავეს. ამ შედეგით კახა ირემაძე შეყვანილია საქართველოს ნაკრებში.

საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში 20 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის გაიმართა 12-13 თებერვალს, ქალაქ თბილისში, სპორტკომპლექს ,,არენაში".

## სამგლოვიარო განცხადება

თინა, ლია, მაია თალაკვაძეები იუწყებიან ნელი და გია თოიძის მამის **გივი თოიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებული ოჯახს.

# პეტრე პირველი არასოდეს ყოფილა რუსი



არსებობს საინტერესო ისტორია იმის შესახებ, რომ როცა მწერალი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტოლსტოი მუშაობდა პეტრე პირველისადმი მიძღვნილ თავის რომანზე, წააწყდა საკმაოდ უჩვეულო ფაქტს, რომელიც მოწმობდა, რომ რუსეთის ყველაზე დიდი მონარქს, რომანოვების გვარის სიამაყეს არანაირი კავშირი არ აქვს არც ამ გვართან და არც საერთოდ რუსულ ეროვნებასთან!

ამ ფაქტით ძალიან აღელდა მწერალი. ისარგებლა რა სხვა დიდ დიქტატორთან ახლობლობით, ამავე დროს სხვა სულწასული მწერლებისთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მან რჩევისათვის მიმართა ბელადს, მით უფრო, რომ ეს საკმაოდ პროვოკაციული და არაერთმნიშვნელოვანი ინფორმაცია სტალინთან უკვე ახლოს იყო.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ დოკუმენტი ჩაიტანა მოსკოვში. ეს დოკუმენტი, კერძოდ, ვიღაცის წერილი, ნათლად მოწმობდა, რომ პეტრე I წარმოშობით საერთოდ არ იყო რუსი, როგორც ამას ადრე მიიჩნევდნენ, არამედ გახლდათ ქართველი!

ყურადსაღებია, რომ სტალინს ესოდენ უჩვეულო ინციდენტი სავსებით არ გაკვირვებია, მას შემდეგ კი, რაც დოკუმენტს გაცნობია, ტოლსტოისთვის უთხოვია, ეს ფაქტი დაემალა, არ დაეშვა მისი გამოქვეყნების შესაძლებლობა. თავისი სურვილი უბრალოდ არგუმენტირებულად გამოუხატავს:

„დავუტოვოთ მათ თუნდაც ეგ ერთი „რუსი", რომლითაც შეუძლიათ იამაყონ!"

რეკომენდაციაც მიუცია ტოლსტოისთვის: მოპოვებული დოკუმენტი გაენადგურებინა.

ეს საქციელი უცნაურად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვით იოსებ ბესარიონის ძე წარმოშობით ქართველი იყო. მაგრამ აბსოლუტურად ლოგიკურია, თუ შევხედავთ ხალხთა ბელადის თვალით, რამდენადაც, როგორც ცნობილია, სტალინი თავს მიიჩნევდა რუსად! აბა, სხვანაირად როგორ დაირქმევდა რუსი ხალხის ბელადის სახელს?

ამ შეხვედრის შემდეგ ეს ინფორმაცია თითქოს სამუდამოდ უნდა დასამარებულიყო, მაგრამ ალექსეი ნიკოლოზის ძის გასაკვირად, — ის კი, როგორც ნებისმიერი მწერალი, იყო უკიდურესად ფართოდიაპაზონიანი, — დოკუმენტი ხელში ჩაუვარდა ნაცნობების ვიწრო წრეს და ასე თოვლის გუნდის პრინციპით გავრცელდა მაშინდელ ინტელიგენციაში.

## მაინც რა წერილი იყო ასეთი, რომელიც უნდა გამქრალიყო

დიდი ალბათობით საუბარია არჩილ ბაგრატიონ-მუხრანსკის, იმერეთის მეფის არჩილ მეორის ასულის მიერ თავისი დეიდაშვილისთვის, სამეგრელოს მთავრის ქალიშვილისთვის ნაჩუქარ წერილზე.

წერილში საუბარია ქართველი დედოფლისგან გაგონილ რაღაც წინასწარმეტყველებაზე:

„დედაჩემმა მომითხრო ვიღაც მატვეევზე, რომელსაც სიზმარში გამოცხადებია წმინდა გიორგი. თანამოსაუბრეს მისთვის უთქვამს: შენ უნდა შეატყობინო მეფეს იმის შესახებ, რომ მოსკოვში უნდა გაჩნდეს „მეფეთა მეფე", რომელიც შექმნის დიდ იმპერიას. იგი გაჩნდება რომელიღაც უძველესი გადამთიელი ტომიდან ჩამოსული ივერიის დევგმირი მეფისა და კირილ ნარიშკინის ასულის შეერთებით. უფლის ნებით, მათი შვილი იქნება ცის, ზღვისა და ხმელეთის დიადი მეფე"...

წინასწამეტყველებაში არაორაზროვნადაა სიტყვა გადაკრული მოცემული ქმედების მწვავე აუცილებლობაზე, თუმცა, მოვლენების მსგავსი განვითარება, შესაძლებელია, რეალურად სხვა პრობლემამაც განაპირობა..

## რომანოვების გვარის დასასრულის დასაწყისი

რომ გავერკვეთ ასეთი წერილის შინაარსში, აუცილებლად უნდა დავუბრუნდეთ ისტორიას და გავიხსენოთ, რომ მოსკოვის სამეფო ამ დროს წარმოადგენდა უმეფო სამეფოს, მეფის მოვალეობის შემსრულებელი ალექსეი მიხაილის ძე ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ როლს.

ფაქტობრივად ქვეყანა იმართებოდა სასახლის ბინძური ინტრიგებით და მას მართავდა ძალოვანი ავანტიურისტი მთავარი მილოსლავსკი.

ალექსეი მიხაილის ძე იყო სუსტი და უძლური ადამიანი. მას ძირითადად გარს ერტყა საეკლესიო პირები. ერთ-ერთი ასეთი გახლდათ არტამონ სერგის ძე მატვეევი, რომელსაც შეეძლო მეფეზე მოეხდინა აუცილებელი ზეწოლა, რისთვისაც მეფე მზად არ იყო. მატვეევი, — სასახლეში ამგვარი „რასპუტინის" პროტოტიპი, — თავისი შეხედულებისამებრ მართავდა მეფეს.

მატვეევის გეგმა გახლდათ უბრალო: აუცილებელი იყო დახმარება მეფისთვის, რათა ამ უკანასკნელს თავი დაეხსნა მილოსლავსკის გვარიდან და ხელუხლებლად გამოეცხადებინა „თავისი" მემკვიდრე.




მოკლედ: 1669 წლის მარტში მშობიარობის შემდეგ, მეფე ალექსი მიხეილის ძის მეუღლე, მარია ილიას ასული მილოსლავსკაია გარდაიცვალა.

ამის შემდგომ, სწორედ მატვეევმა გაურიგა ალექსეი მიხაილის ძეს ნატალია კირილის ასული ნარიშკინა, ქალიშვილი ყირიმ-სათათრეთის მურზის ისმაილ ნარიშასი, რომელიც მაშინ მოსკოვში ცხოვრობდა. მთლიანი კეთილმოწყობის მიზნით და იმისთვის, რომ ადგილობრივებს ადვილად წარმოეთქვათ მისი სახელი, ისმაილმა აქ კირილი დაირქვა.

გადასაწყვეტი დარჩა მემკვიდრის საკითხი, რადგან პირველი ცოლისგან შობილი ბავშვები იყვნენ ისეთი სუსტები, როგორც თვითონ მეფე და ამაში მატვეევი დიდ საფრთხეს ხედავდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც კი მეფეს ნარიშკინის დედოფალი შერთეს, მაშინვე დადგა მემკვიდრის საკითხი, რადგან ამ მომენტში მეფე ავადმყოფობდა, იყო ფიზიკურად სუსტი და ბავშვებიც უსუსური გაუჩნდა. მიიღეს გადაწყვეტილება, ენახათ შემცვლელი და აქ შეთქმულების ხელში აღმოჩნდა ქართველი თავადი.

## მაინც ვინ არის პეტრეს მამა?

თვით ამ საქმის თეორიაში, პეტრეს მამებში ჩაწერილია ორი დიდი ქართველი თავადი ბაგრატიონთა გვარიდან:

არჩილ II (1647-1709) – იმერეთისა (1661-1663, 1678-1679, 1695-1696, 1698) და კახეთის (1664-1675) მეფე, პოეტი ლირიკოსი, ქართლის მეფე ვახტანგ V უფროსი ვაჟი, მოსკოვში ქართული კოლონიის ერთ-ერთი დამფუძნებელი;

ერეკლე I, ნაზარალი-ხანი (1637 ან 1642-1709) ქართლის მეფე (1688-1703), კახეთის მეფე (1703-1709), დავით მეფისა (1612-1648) და ელენე დიასამიძის (გარდაიცვალა 1695 წელს) ვაჟი, ქართლისა და კახეთის მეფის თეიმურაზ I შვილიშვილი.

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მამა უფრო შეიძლება იყოს ერეკლე. ამის არგუმენტად შეიძლება დასახელდეს ის, რომ მეფის ჩასახვის დროს სწორედ ერეკლე იმყოფებოდა მოსკოვში, მაშინ, როცა არჩილი რუსეთის დედაქალაქში ჩავიდა მხოლოდ 1681 წელს.

მეფე ერეკლე რუსეთში ცნობილი იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის უფრო მოსახერხებელი სახელითა და მამის სახელით „ნიკოლაი დავიდოვიჩით". ის ალექსეი მიხეილის ძესთან დაახლოებული პირი გახლდათ და მეფის თათართა დედოფალთან ჯვრისწერის დროს დაინიშნა ათასეულის მეთაურად, იყო საქორწინო ცერემონიალის მთავარი მომწესრიგებელი. ათასეულის მეთაურის ვალდებულებებში შედიოდა ასევე ყოფილიყო ამ წყვილის მეჯვარე. თუმცა, ქართველი მეფე მოსკოვის მეფეს ძალაუნებურად დაეხმარა არა მხოლოდ მოსანათლავი ბავშვისთვის სახელის შერჩევაში, არამედ მის ჩასახვაშიც.

მომავალი იმპერატორის ნათლობაზე, 1672 წელს ერეკლემ შეასრულა თავისი მოვალეობა, ჩვილს დაარქვა პეტრე, ხოლო 1674 წელს დატოვა რუსეთი და დაჯდა კახეთის მეფედ. მართალია, ამ ტიტულის მისაღწევად იგი იძულებული გახდა, მუსულმანობა მიეღო.

## მეორე ვერსია საეჭვოა

მეორე ვერსიით, მომავალი თვითმყრობელის მამა 1671 წელს გახდა უკვე რამდენიმე თვის წინათ სასახლეში სტუმრად მისული, სპარსეთის ზეწოლას გაქცეული იმერეთის მეფე არჩილ II, რომელიც პრაქტიკულად აიძულეს შესულიყო დედოფლის საძინებელში იმის მტკიცებით, რომ აუცილებელია თავისი მონაწილეობა ღვთაებრივ საქმიანობაში, სახელდობრ, ჩასახვაში „იმისა, ვისაც მოელოდნენ".

შესაძლებელია, სწორედ მატვეევის სიზმარმა აიძულა კეთილშობილი დიდებული მეფე შესულიყო ახალგაზრდა დედოფლის საძინებელში.

არჩილთან პეტრეს ნათესაობაზე შეიძლება მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ქართველი მონარქის ოფიციალური მემკვიდრე, თავადი ალექსანდრე გახდა რუსეთის არმიის წარმოშობით ქართველი პირველი გენერალი, მსახურობდა შესაქცევარ პოლკებში და დაიღუპა იმპერატორისთვის შვედებთან ტყვეობაში. არჩილის სხვა შვილებმა — მატვეიმ, დავითმა, და დარიამ (დარეჯანმა) პეტრესგან მიიღეს ისეთი პრეფერანციები, როგორიცაა მიწები მოსკოვში და იყვნენ ამ ქონების სრული მფლობელები.

კერძოდ, ცნობილია ის ფაქტი, რომ თავისი გამარჯვების აღსანიშნავად, პეტრე ჩავიდა სოფელ ვსეხსვიატსკოეში, ახლანდელ სოკოლში, საკუთარ დასთან — დარიასთან.

ასევე ცხოვრების ამ პერიოდს უკავშირდება მოსკოვში ქართული ელიტის მასობრივი მიგრაციის ტალღა.

ქართველი მეფის არჩილ II და პეტრე I ნათესაური კავშირის მტკიცებულებად მოჰყავთ აგრეთვე




რუსეთის დედოფლისადმი მიწერილი მონარქის წერილიც, რომელშიც წერია:

„როგორ ხარ, ჩვენო გიჟო?"

თუმცა, „გიჟო" შეიძლება ეთქვათ როგორც მეფე ნიკოლოზზე, ისე პეტრეზე, როგორც ბაგრატიონების გვარის წარმომადგენლებზე.

მეორე ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პეტრე I საოცრად ჰგავდა იმერეთის მეფეს არჩილ II. სიმაღლით იმ დროისათვის ორივე იყვნენ ნამდვილი გოლიათები, ჰქონდათ სახის ერთნაირი გარშემოწერილობა და ხასიათი. თუნდაც ეს ვერსია შეიძლება იქნას გამოყენებული, როგორც მტკიცებულება, რამდენადაც ქართველი თავადები რუსეთის სამეფოსთან იმყოფებოდნენ ნათესაურ კავშირში.

## ყველამ იცოდა და ყველა დუმდა

როგორც ჩანს, მეფის გვარის შესახებ მაშინვე იცოდა ყველამ.

მაგალითად, დედოფალი სოფია მთავარ გოლიცინს წერდა:

„არ შეიძლება ძალაუფლება გადასცე უცხოტომელს".

პეტრეს დედა ნატალია ნარიშკინაც შიშობდა და რამდენჯერმე განაცხადა:

„შეუძლებელია, იგი გახდეს მეფე!"

თვით მეფემ, იმ მომენტში, როცა ჯვარს იწერდა ქართველ დედოფალზე, განაცხადა:

„მე არ დავქორწინდები მოგვარეზე!"

## ვიზუალური მსგავსება, სხვა მტკიცებულება არც არის საჭირო

ეს უნდა დავინახოთ. გაიხსენეთ ისტორიიდან, მოსკოვის არც ერთი მეფე არ გამოირჩეოდა არც სიმაღლით და არც სლავური გარეგნობით, პეტრე კი:

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, პეტრე I იყო საკმაოდ მაღალი, დღევანდელი განზომილებითაც. მისი სიმაღლე აღწევდა ორ მეტრს, მაგრამ, რაც ყველაზე უცნაურია, ატარებდა 38 ზომის ფეხსაცმელს, მისი ტანსაცმლის ზომა კი იყო 48! სწორედ ეს თავისებურებები მიიღო მან თავისი ქართველი ნათესავებისაგან, ეს აღწერილობა ზუსტად მიესადაგება ბაგრატიონის გვარს. პეტრე იყო სუფთა ევროპელი!

როგორც ვიზუალურად, ისე ხასიათით პეტრე არანაირად არ მიეკუთვნება რომანოვების გვარს, ის ყველა თავისი ჩვეულებით იყო ნამდვილი კავკასიელი.

დიახ, პეტრემ მემკვიდრეობით მიიღო მოსკოველი მეფეების წარმოუდგენელი სიმკაცრე, მაგრამ ეს თვისება მას შეიძლება მიეღო დედის ხაზიდან, რომლის გვარი უფრო თათრული იყო, ვიდრე სლავური.

მოცემულ ილუსტრაციებზე კარგად ჩანს, როგორ ჰგვანან ერთმანეთს მამა (სურ. 2 და 5) და შვილი (დანარჩენი სურათები). სხვა მტკიცებულება არც არის საჭირო.

fakeoff.org.-ის მიხედვით
მოამზადა თემურ მარშანიშვილმა

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 23 თებერვალი ორშაბათი | 24 თებერვალი სამშაბათი | 25 თებერვალი ოთხშაბათი | 26 თებერვალი ხუთშაბათი | 27 თებერვალი პარასკევი | 28 თებერვალი შაბათი | 1 მარტი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, +4+15 | მზე, +6+16 | ღრუბელი- +6+16 | მზე, ღრუბელი +10+16 | მზე, ღრუბელი +10+16 | მზე, +9+17 | წვიმა +6+14 |